KA021715145972115

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0108, გ.ჭანტურიას ქ.12

12 G.Chanturia Str.,0108 Tbilisi,Georgia

N5/25177

04 / მაისი / 2015 წ.

სს „უნივერსალური სამედიცინო ცენტრს"

თქვენს 28.04.2015 წ. №28.04.15/5 (შემოსვ. №34641/04, 29.04.2015 წ.) წერილთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 07.04.2011 წლის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, სსიპ- სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო არ არის წინააღმდეგი, დანართი №2-თ წარმოდგენილი საქონლის შესყიდვა (ასეთ შემთხვევაში შესყიდვის ობიექტის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო ვადებს და შემსყიდველმა ორგანიზაციამ მაქსიმალურად უნდა აარიდოს თავი შესყიდვის განხორციელების გაჭიანურებას, რათა ხელოვნურად არ შეიქმნას შესყიდვის გადაუდებლად განხორციელების აუცილებლობა) განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, არაუმეტეს სატენდერო განაცხადში განსაზღვრული ფასისა.

ასევე გაცნობებთ, რომ აღნიშნულის თაობაზე დაუყონებლივ უნდა აცნობოთ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს. ასევე, უნდა იმოქმედოთ საწარმოს ინტერესების და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით. უნდა გაითვალისწინოთ ისიც, რომ სახელმწიფო შესყიდვა გადაუდებელი აუცილებლობის არსებობისას უნდა განხორციელდეს ამ თანხმობის მიღებიდან გონივრულ ვადაში. პასუხისმგებლობა კანონმდებლობისა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესებისა და ნორმების დაცვისათვის, შესყიდვების რაციონალური განხორციელებისათვის მთლიანად ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარე

ეკატერინე სისაური

სს „უნივერსალური სამედიცინო ცენტრი"
კანცელარია
№ 364
„08" „05" 2015 წ.